*გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!*

# გეომედი ლაიფი Geomedi Life

№16 (17) 2024 წელი  უნივერსიტეტ  გეომედის  ყოველკვარტალური  გაზეთი



2-3 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია MedCon2024, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს საერთაშორისო სამედიცინო სტუდენტთა საზოგადოების (GIMSOC) და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის მიერ. კონფერენციის ძირითადი თემა იყო შინაგანი მედიცინა და სტუდენტების კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება. ორდღიანი ღონისძიება მიზნად ისახავდა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების, რეზიდენტების, პრაქტიკოსი ექიმების, პროფესორების გაერთიანებას, მათი ცოდნის გაღრმავებასა და ინფორმაციის გაზიარებას.

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო მედიცინის ფაკულტეტის მე-10 კურსის სტუდენტმა - სვარალი ჩოდნეკარმა, რომლის წარდგენილმა მოხსენებამ თემაზე: ''A 30-Minute Cure to Breast Cancer: A Systematic Review of the TARGIT-IORIT System'', პირველი ადგილი მოიპოვა. პრეზენტაცია გამოირჩეოდა ინოვაციური და დამაფიქრებელი თემითა და გამორჩეული სტილით. მისმა უნარმა, კომპლექსური სამეცნიერო კონცეფციები გამოხატოს და ჩამოაყალიბოს ნათლად და მარტივად, მოიპოვა ჟიურისა და აუდიტორიის ერთსულოვანი ქება. მის მიერ წარმოდგენილმა სიღრმისეულმა კვლევამ გამოიწვია დისკუსია და მიიღო დადებითი გამოხმაურება დამსწრეებისგან.

უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაკალათია მოხსენებით წარსდგა საერთაშორისო კონფერენციაზე: ,,5th international conference on bacteriophage research and antimicrobial resistance", რომელიც ინდოეთის ქალაქ მუმბაიში ჩატარდა. მისმა მოხსენებამ თემაზე: ,,Bacteriophage application – controlling resistant Salmonella spp" დიდი მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, ხათუნა მაკალათიამ იაქტიურა პანელურ დისკუსიაშიც. იგი იყო ასევე იმ ჟიურის წევრი, რომელმაც საუკეთესო ნაშრომი გამოავლინა.

აღნიშნული საერთაშორისო კონფერენციის მიზანი იყო ბაქტერიოფაგების შესახებ კვლევების და პრეზენტაციების წარმოდგენა, დამსწრე საზოგადოების ინტერაქტიულ სემინარებსა და პანელურ დისკუსიებში ჩართვა, იდეების, პრაქტიკული გამოცდილებისა და უახლესი სამეცნიერო მიღწევების გაზიარება.

უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სემინარი თემაზე: "თანამედროვე ხედვები ფიზიკურ თერაპიასა და რეაბილიტაციაში: ანალიზი, დაგეგმვა და მართვა." მომხსენებლები იყვნენ მედიცინის დოქტორი, პროფესორი – აზა რევიშვილი და კენ ვოლკერის კლინიკის ფიზიკური თერაპევტი, განათლების დოქტორი, პროფესორი – ელისო მურვანიძე.

მომხსენებლებმა ისაუბრეს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამიზნე ნიშნულებზე, ინტერვენციებზე, სპორტული და მოძრავი თამაშების მნიშვნელობაზე, ჯანსაღი კვების პრობლემებზე, ფიზიკური აქტივობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე. ასევე, განიხილეს პაციენტის შეფასების მექანიზმები და ფიზიკური თერაპიის დაგეგმვის პროცესი, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია ვარჯიშების მიზანმიმართულობა, ვარჯიშებში მონაწილე კუნთთა ჯგუფების ცოდნა, შესრულების ხანგრძლივობა, დატვირთვის ხარისხი, ემოციური ფონი და ა.შ.

სემინარის ბოლოს განხილული საკითხების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. დამსწრეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

2024 წლის 13 დეკემბერს, უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, სადაც სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები მედიცინის, სტომატოლოგიის, რეაბილიტაციის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროში. კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტ გეომედის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

თითოეული გამომსვლელის შემდეგ, განხილული თემის გარშემო გაიმართა დისკუსია. კონფერენციის ბოლოს ჟიურიმ შეაფასა და გამოავლინა საუკეთესო მომხსენებლები:

**I ადგილი** – ალექსანდრე ასანიძე, (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი: ბესიკ ასანიძე)

**II ადგილი** – მარიამ გელბახიანი, (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი: მერაბ დეკანოსიძე)

**III ადგილი** – Swarali Chodnekar, (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი: ელენე ასანიძე)

**ჟიურის სიმპათია** – ანა გორგაძე, (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი: ელენე ასანიძე)

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები დაიბეჭდება სტუდენტების ნაშრომთა კრებულში ,,სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“.

20 დეკემბერს კი ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტ გეომედის პროფესორებმა: არჩილ კაპანაძემ, ვალენტინა მიტოვამ, მალხაზ ვახანიამ და რევაზ ლორთქიფანიძემ. მათ მიერ წარმოდგენილი ნაშრომები გამოქვეყნდება კონფერენციის მასალათა კრებულში ,,მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები.''

2024 წლის 21-23 ნოემბერს, პორტუგალიაში, ქალაქ ლისაბონში, ჩატარდა 32-ე მსოფლიო კონგრესი - “წინააღმდეგობები მეანობა-გინეკოლოგიაში და უნაყოფობაში“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტ გეომედის პროფესორები ელენე ასანიძე, ზურაბ ცეცხლაძე და მალხაზ ვახანია. ელენე ასანიძემ წარადგინა ერთობლივი ნაშრომი: „ორსულობის განმეორებითი დანაკარგები პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომით – ჰომოცისტეინის და MTHFR პოლიმორფიზმების მნიშვნელობა“.

ამავე კონფერენციაზე წარდგენილი იყო პროფესორ ელენე ასანიძის მეორე ნაშრომი: “მეტფორმინისა და მიო-ინოზიტოლის შედარებითი ანალიზი პოლიცისტური საკვერცხეების სინდრომთან დაკავშირებული ინსულინრეზისტენტობის მართვაში”, რომლის თანაავტორი არის უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტი რიტიკა ბჰატია.

კონფერენციამ უმასპინძლა მსოფლიო ლიდერებს მეანობა-გინეკოლოგიისა და უნაყოფობის დარგში განიხილეს და იმსჯელეს მიღწევებსა და გამოწვევებზე, რაც აქტუალურია ამ მიმართულებით.

ელენე ასანიძის მიერ წარდგენილმა თემებმა დამსწრე საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

უნივერსიტეტ გეომედის პროფესორმა ალექსანდრე ლოლაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში: ,,ანესთეზიოლოგია და ინტენსიური თერაპია'', რომელიც ქალაქ ბათუმში ჩატარდა. მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა თემა: ,,ოპიოიდებით მოწამვლის თანამედროვე კომპლექსური თერაპია''.

გარდა ქართველი მედიკოსებისა, კონფერენციაში მონაწილეობდნენ ექიმები ბრიტანეთიდან, აშშ-დან, ავსტრიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ორდღიანი შეხვედრის ფარგლებში დარგის სპეციალისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს პრაქტიკული გამოცდილება და ინტენსიურ თერაპიაში არსებული სიახლეები და თანამედროვე მიდგომები.

21 ნოემბერს შემოქმედებითი გაერთიანება ,,გიმნასიონის'' ფარგლებში უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე: ,,სამკურნალო მცენარეები''. პრეზენტაცია წარმოადგინა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ლუკა მახათაძემ.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მოხსენებამ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.